

3. პოლიტიკის განაცხადი

“ადამიანის უფლებების პატივისცემა ჩადებულია ჩვენს ღირებულებებში და ჩვენს ქცევის ზოგად წესში. ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენს ვალდებულებას ადამიანთა უფლებების მიმართ ლიდერთა ანგარიშვალდებულად გახდომით, პროაქტიურად სწორი კითხვების დასმით და სწორი/მართებული ქმედებების განხორციელებით, რათა განისაზღვროს და თავიდან იქნეს აცილებული ადამიანთა უფლებების უარყოფითი ზეგავლენა ჩვენს საქმიანობაში. ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა გაიგონ, რომ ადამიანთა უფლებები მათთან ერთად იწყება და წარმოადგენენ კომპონენტს ჩვენს გადაწყვეტილების მიღებაში და ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენ ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას პოლიტიკის ნებისმიერი დარღვევის საპასუხოდ პასუხისმგებლობაში”.

4. ადამიანთა უფლებების მნიშვნელოვანი არეალები

„ენერგო-პრომ“ ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით შემდეგი მნიშვნელოვანი არეალები განსაზღვრა:

- გადაადგილება: ჩვენ ვაღიარებთ უფლებას ყოველმხრივ სამოქმედო საკონსულტაციო პროცესზე და სამართლიან და შესაბამის კომპენსაციას ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის, რომლებზეც გავლენა იქონია ჩვენმა მუშაობამ. პატივს ვცემთ მიწის საკუთრებას და ინტერესებს, რომელიც დაწესებულია კანონით და/ან ადათ-წესებითა და ჩვეულებით და უფლებას და შესაბამის დაბინავებაზე მათთვის, ვიზეც იქონია გავლენა ფიზიკურმა გადაადგილებამ. ჩვენ ასევე პატივს ვცემთ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დადგენილია კანონით და/ან აღიარებულია ადათ-ჩვეულებით. ჩვენ ვმუშაობთ, რომ გავზარდოთ შეღავათები და შევამციროთ ჩვენი საქმიანობის ნეგატიური გავლენა იმ საზოგადოებაზე რომელზეც იქონია ზეგავლენა.
- ადგილობრივი მოსახლეობა: ჩვენ პატივს ვცემთ ადგილობრივი მოსახლეობის კავშირს მიწასთან და წყალთან და მივსდევთ გაერთიანებული ერების დეკლარაციას ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შესახებ.
- გარემოს დაცვასთან დაკავშირებული უფლებები: ჩვენ ვაღიარებთ უფლებას ადექვატურ გარემოსთან, რომელიც მოიცავს ინფორმაციასთან წვდომას და უფლებას ერთობლივ პროცესზე და გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაცვით საკითხებთან. პირველი ნაბიჯი არის ის, რომ ჩვენ თავს ვარიდებთ და მინიმუმად დაგვყავს გარემოსდაცვასთან დაკავშირებული გავლენა, როდესაც ტექნიკურად და ფინანსურად ეს შესაძლებელია და ვიღებთ შემამსუბუქებელ ზომებს ჩვენი პროექტის დიზაინის ფაზებში. კომპენსაციას ვიხდით შესაბამისად გარემოსდაცვითი ზეგავლენისთვის და შესაბამისად აღვადგენთ ობიექტებსა და ეკოსისტემას.
- შრომისა და მიწოდების ქსელი: ჩვენ ვაღიარებთ მუშა მოსამსახურის უფლებებს უსაფრთხო სამეწარმეო ჯანმრთელობაზე და გარემოზე, მიგრანტი პერსონალის უფლებებზე, შესაბამის სამუშაო პირობებზე რომელიც მოიცავს დაქირავებას, დაწინაურებას და სამუშაოს ანაზღაურებას, სამასახურში აყვანას პროცესის

შესაბამისად, სამართლიან და თანაბარ მოპყრობას, ძალადობისგან თავისუფალ გარემოს და ასოცირებისთვის თავისუფლების უფლებას. ვალდებულება ვრცელდება ჩვენი მიწოდების ქსელზე. ჩვენ ვუარყოფთ ყველა ტიპის დისკრიმინაციას გენდერული დისკრიმინაციის ჩათვლით და ხელს ვუწყობთ ინკლუზიურ და მრავალმხრივ მიდგომას დაქირავებასთან და დაწინაურებასთან დაკავშირებით.

- ბავშვი, ძალადობრივი შრომა და თანამედროვე მონური ტიპის დამოკიდებულება: ჩვენ პატივს ვცემთ მინიმალურ ასაკობრივ სტანდარტებს დაქირავების პრაქტიკაში ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. თავს ვარიდებთ თანამშრომელთა დაქირავებას, რომლებიც დაკავშირებული არიან ვალდებულებით შრომით ურთიერთობაში სახელფასო სესხით ან სესხით. ჩვენ არ ვაკავებთ ხელფასს ან რაიმე ფინანსურ დახმარებას იმ მცდელობით, რომ ძალით მივიღოთ კეთილგანწყობა ან დამატებითი სამუშაო მომსახურე პერსონალისგან. ყველა სამუშაო არის თავისუფლად არჩეული, ძალადობრივი ან დამავალდებულებელი შრომის გამოყენების გარეშე. ხელშეკრულების შეწყვეტა დაკავშირებულია თანამშრომელთან და ყველა სახის ხელფასი და პრივატულების თუ დახმარება არის გადახდადი ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
- უსაფრთხოება და კონფლიქტი: ჩვენ ვუზრუნველყოფთ ცნობიერების ამაღლებას და ინფორმატიულობას უსაფრთხოების კონტრაქტორებთან ადამიანთა უფლებების და ჩვენს პარტნიორებთან და მეწილეებთან შესაბამის ქცევასთან მიმართებაში. ჩვენ ვიღებთ ჩვენი უსაფრთხოების კონტრაქტორების შესაბამის პასუხისმგებლობას კონტრაქტის გაფორმებამდე. ხელს ვუწყობთ კომუნიკაციას, მშვიდობიან გადაწყვეტას და კონსესუსს პარტნიორებთან და მეწილეებთან ურთიერთობაში. ვაძლიერებთ მკაცრ კონტროლს ძალის გამოყენებაზე და ვზღუდავთ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ჩვენს ობიექტებზე რამდენადაც ეს არის შესაძლებელი.
- ანტიკორუფცია: ჩვენ გვჯერა აქტიური პოზიციის მიღების მექრთამეობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ. ვიქცევით სამართლიანად და ეთიკურად, როდესაც ვახორციელებთ ჩვენს საქმიანობას ჩვენს პარტნიორებთან და მეწილეებთან.

5. დისტრიბუცია

აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე, რომელიც გაერთიანებულია საქმიანობის შერჩეულ სტანდარტულ ვადებსა და პირობებთან. შესაძლოა გადახედილი იქნეს კომპანიის აღმასრულებლების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს პოლიტიკა განიხილება რეგულარულად და განახლდება პარტნიორთა და მოწილე მხარეების მოთხოვნილებების შესაბამისობაში მოყვანისთვის.

6. ძალაში შესვლა

აღნიშნული ვერსია ძალაში შედის და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისიდან.